საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს/მინისტრს

საჩივრის ავტორის/წარმომადგენლის (არსებობის შემთხვევაში)

სახელი:_____

გვარი:_____

მის:_____

ტელ:_____ ; ელ.ფოსტა _____

თუ საჩივრის ავტორი იურიდიული პირია

დასახელება:_____

საიდენტიფიკაციო კოდი:_____

ადმინისტრაციული საჩივარი

1. **დავის არსის მოკლე მიმოხილვა და გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** ----------
---

---.

2. იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოქმედება/უმოქმედობა საჩივრდება: ----------
---

---.

3. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება: ----------
---

---.

4. მოთხოვნა:----------

---.

5. წარმოდგენილი საბუთების ნუსხა:

----------;
----------;
----------;
----------;
----------;

საჩივრის ავტორის ხელმოწერა: _____

საჩივრის შემოტანის თარიღი: __/__/201__წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით ინსტრუქცია

ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემთხვევაში უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

1. **შეავსოს წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა;**

2. **ადმინისტრაციულ საჩივარში აუცილებლად უნდა მიეთითოს:**

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი; (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/მინისტრი)

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის;

თ) მინდობილობა ან სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი .

3. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/მინისტრი არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:**

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან

მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
ბ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
გ) არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
დ) ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
ე) საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
ვ) ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
ზ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/მინისტრი ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში თუ კანონით, ან კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ერთი თვისა. ვადის გაგრძლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეცნობება საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/მინისტრი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას მისცემს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობას.

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო/მინისტრი წერილობით აცნობებს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეს ზეპირი სხდომის გამართვის თარიღს მის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს/მინისტრს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:
   ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;
   ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.

8. ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ადმინისტრაციული წარმოების

ხარჯებს. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.